ხელშეკრულება N 441

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი "30" დეკემბერი 2016 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო (მის: ქ. თბილისი, გორგალის ქ. №83ა, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი- TRESGE22, საიდ. კოდი-205316497), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", სააგენტოს დირექტორის ზვიად ქაწაშვილის სახით და

მიმწოდებელი: სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი", საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674
მისამართი, ტელეფონი: თბილისი, კოსტავას ქუჩა N67; ტელ: 2 505 111; მიბ: 577 77 73 00
რისკების მართვისა და ანდერაიტინგის დირექტორი: ირაკლი დვალი
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგ. ანგარიში: GE13TB1100000005700652

ორივე ერთად წოდებული როგორც `მხარეები, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 101 მუხლის მე–3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **SMP160003698** თანახმად ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად,

1 გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება" _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება" – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2 ხელშეკრულების საგანი

2.1 **ხელშეკრულების საგანი არის:** წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N2-ით განსაზღვრული შსს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართის სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევების მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების და დანართი N1, N2, N3, N4, N5 და N6-ის პირობების შესაბამისად.
(CPV-66500000).

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების ღირებულება არის: 16 564,87 (თექვსმეტი ათას ხუთასსამოცდაოთხი ლარი და 87 თეთრი) ლარი.**
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4 მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა **2017 წლის 1 იანვრის 00:00 სთ-დან 2016 წლის 31 იანვრის 24:00 სთ-ის ჩათვლით.**
ბ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში და განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5 ხარისხი
5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველის მიერ მომსახურების გაწევის ვადების, ხარისხისა და მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილია **სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საფინანსო-სამეურნეო მთავარი სამმართველოს ტრანსპორტის სამმართველოს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.**
6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხოდ გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან **3 (სამი)** დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.
6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.
6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო (წუნდებული) ან დაგვიანებით გაწეული მომსახურების ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე.
6.6 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
6.7 ამ მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, მომსახურების მიღებასთან ერთად დასტურდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაც.
6.8 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7 ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ან/და წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
9.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10 ხელშეკრულების შესრულების გარანტია

10.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12 დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.
13.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.
13.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
13.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2018 წლის 1 თებერვლამდე.**

15 ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე (3 სამი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი_შემსყიდველს.

17 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

შსს-ს სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო,
მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ.№83ა;
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
ს/კ - 205316497.
.

მიმწოდებელი

სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი",
მის: კოსტავას ქუჩა N67
საბანკო რეკვიზიტები:
სს,,თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. ანგარიში: GE13TB1100000005700652
ს/კ: 204426674

სააგენტოს დირექტორი

ზვიად ქაწაშვილი

რისკების მართვისა და ანდერაიტინგის დირექტორი:

ირაკლი დვალი

დანართი N2

N1	ავტომანქანის დასახელება	ახალი სახ. ნომერი	გამოშვების წელი	VIN კოდი	ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულება (ლარი)	სადაზღვევო პრემია (ლარი)
1	Skoda Octavia	SS010MS	2014	TMBAD4NE0F0094443	35,009.66	164.20
2	SUZUKI SX 4 S CROSS	SS011MS	2015	TSMJYB22S00213015	33,337.92	156.35
3	SUZUKI SX 4 S CROSS	SS012MS	2015	TSMJYB22S00212331	33,337.92	156.35
4	SKODA octavia	SS017MS	2011	TMCK21Z4002027180	33,032.34	154.92
5	SUZUKI SX 4 S CROSS	SS018MS	2015	TSMJYB22S00212468	33,337.92	156.35
6	SUZUKI SX 4 S CROSS	SS020MS	2015	TSMJYB22S00212735	33,337.92	156.35
7	SKODA octavia	SS022MS	2012	TMBCK21ZOC2153115	32,200.74	151.02
8	SKODA octavia	SS024MS	2012	TMBCK21Z2C2087439	33,045.20	154.98
9	TOYOTA hilux	SS027MS	2012	MROFR22GGD0695274	40,000.00	187.60
10	SUZUKI SX 4 S CROSS	SS030MS	2015	TSMJYB22S00211868	33,337.92	156.35
11	SUZUKI SX 4 S CROSS	SS033MS	2015	TSMJYB22S00212886	33,337.92	156.35
12	SKODA octavia	SS040MS	2012	TMBCK21Z9D2014604	32,466.67	152.27
13	Kia Sportage	SS090MS	2013	KNAPC812DD7482401	35,724.80	167.55
14	SKODA octavia	SS050MS	2013	TMBAD4N4E0054218	33,300.00	156.18
15	TOYOTA hilux	SS052MS	2012	AHTFK22G203079649	43,990.00	206.31
16	TOYOTA LC PRADO	SS070MS	2012	JTEBH3FJ60K096588	63,000.00	295.47
17	TOYOTA hilux	SS074MS	2012	MPOFR22G800716605	41,376.20	194.05
18	Toyota Hilux	SS112MD	2010	MROFZ29G701609285	64,103.96	300.65
19	TOYOTA LC 70	SS120MS	2013	JTERB71JX00071431	84,462.63	396.13
20	MITSUBISHI L200	SS151MS	2015	MMBJNKL30GH008273	54,000.00	253.26
21	MITSUBISHI L200	SS152MS	2015	MMBJNKL30GH008372	54,000.00	253.26
22	MITSUBISHI L200	SS153MS	2015	MMBJNKL30GH006706	54,000.00	253.26
23	MITSUBISHI L200	SS154MS	2015	MMBJNKL30GH006841	54,000.00	253.26
24	MITSUBISHI L200	SS155MS	2015	MMBJNKL30GH008344	54,000.00	253.26

25	MITSUBISHI L200	SS156MS	2015	MMBJNKL30GH006083	54,000.00	253.26
26	MITSUBISHI L200	SS157MS	2015	MMBJNKL30GH006547	54,000.00	253.26
27	MITSUBISHI L200	SS158MS	2015	MMBJNKL30GH008330	54,000.00	253.26
28	MITSUBISHI L200	SS159MS	2015	MMBJNKL30GH008388	54,000.00	253.26
29	MITSUBISHI L200	SS160MS	2015	MMBJNKL30GH006120	54,000.00	253.26
30	MITSUBISHI L200	SS161MS	2015	MMBJNKL30GH008031	54,000.00	253.26
31	MITSUBISHI L200	SS162MS	2015	MMBJNKL30GH008316	54,000.00	253.26
32	MITSUBISHI L200	SS163MS	2015	MMBJNKL30GH006501	54,000.00	253.26
33	MITSUBISHI L200	SS164MS	2015	MMBJNKL30GH008287	54,000.00	253.26
34	MITSUBISHI L200	SS165MS	2015	MMBJNKL30GH006572	54,000.00	253.26
35	MITSUBISHI L200	SS166MS	2015	MMBJNKL30GH008153	54,000.00	253.26
36	MITSUBISHI L200	SS167MS	2015	MMBJNKL30GH007847	54,000.00	253.26
37	MITSUBISHI L200	SS168MS	2015	MMBJNKL30GH007861	54,000.00	253.26
38	MITSUBISHI L200	SS169MS	2015	MMBJNKL30GH008392	54,000.00	253.26
39	MITSUBISHI L200	SS170MS	2015	MMBJNKL30GH006069	54,000.00	253.26
40	MITSUBISHI L200	SS171MS	2015	MMBJNKL30GH006899	54,000.00	253.26
41	MITSUBISHI L200	SS172MS	2015	MMBJNKL30GH008259	54,000.00	253.26
42	MITSUBISHI L200	SS173MS	2015	MMBJNKL30GH008072	54,000.00	253.26
43	MITSUBISHI L200	SS174MS	2015	MMBJNKL30GH006643	54,000.00	253.26
44	MITSUBISHI L200	SS175MS	2015	MMBJNKL30GH008302	54,000.00	253.26
45	MITSUBISHI L200	SS176MS	2015	MMBJNKL30GH008358	54,000.00	253.26
46	MITSUBISHI L200	SS177MS	2015	MMBJNKL30GH007876	54,000.00	253.26
47	MITSUBISHI L200	SS178MS	2015	MMBJNKL30GH007359	54,000.00	253.26
48	MITSUBISHI L200	SS179MS	2015	MMBJNKL30GH006962	54,000.00	253.26
49	Ford Transit (ტენტით)	SS181MS	2015	WF0EXXTTGEGA16098	78,470.00	368.02
50	Ford Transit (ტენტით)	SS182MS	2015	WF0EXXTTGEGA16109	78,470.00	368.02
51	Ford Transit	SS183MS	2015	WF0XXXTTGXGA29620	76,990.00	361.08

52	Ford Transit	SS184MS	2015	WF0XXXTTGXGA29619	76,990.00	361.08
53	Ford Ranger	SS213MS	2015	6FPPXXMJ2PFS05960	48,448.00	227.22
54	LAND ROVER	SS224MS	2010	SALLDKHT8AA790889	132,496.00	621.41
55	TOYOTA hilux	SS255MS	2012	AHTFK22G703077282	52,836.00	247.80
56	SKODA octavia	SS701MS	2012	TMCK21Z5C2085796	32,887.80	154.24
57	TOYOTA hilux	SS703MS	2013	MROFR22G400699050	41,410.00	194.21
58	TOYOTA CAMRY	SS707MS	2016	JTNBF4FK803034141	54,000.00	253.26
59	FORD ranjer	SS708MS	2011	MNCBSFE40BW967152	29,200.00	136.95
60	TOYOTA hilux	SS745MS	2013	MROFR22G200699015	41,410.00	194.21
61	MITSUBISHI L200	SS778MS	2010	MMBJNKB409F005955	23,445.00	109.96
62	MITSUBISHI L200	SS779MS	2010	MMBJNKB409F005965	23,445.00	109.96
63	MITSUBISHI L200	SS788MS	2010	MMBJNKB409F005964	23,445.00	109.96
64	Skoda Octavia	SS962MS	2013	TMBAD4NE7E0151428	34,303.36	160.88
65	Kia Rio	SS041MS	2013	KNADN512BE6901572	24,883.00	116.70
	სულ ჯამი:				3,210,868.88	15,058.98

შემსყიდველი :

შსს-ს სსიპ-საგანგებო სიტუაციების
მართვის სააგენტო,
მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ.#83ა;
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
ს/კ - 205316497.
.

სააგენტოს დირექტორი

ზვიად ქანაშვილი

მიმწოდებელი

სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“,
მის: კოსტავას ქუჩა N67
საბანკო რეკვიზიტები:
სს„თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. ანგარიში: GE13TB1100000005700652
ს/კ: 204426674

რისკების მართვისა და ანდერაიტინგის დირექტორი:

ირაკლი დვალი

ფასების ცხრილი

სატრანსპორტო საშუალების სრული რაოდენობა	დაზღვევის მოქმედების პერიოდი	I კომპონენტი სატრანსპორტო საშუალებების ღირებულებიდან დაანგარიშებული დაზღვევისთვის გათვალისწინებული სადაზღვევო სავარაუდო პრემიის ოდენობა (მთლიანი სადაზღვევო პერიოდი)	II კომპონენტი დამატებით დასაზღვევი სატრანსპორტო საშუალებების (ასევე დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების შეცვლის შემთხვევაში დამატებითი ანგარიშსწორებისათვის საჭირო) სადაზღვევო პრემიის ოდენობა	შესყიდვის სავარაუდო ღირებულება (I და II კომპონენტებით გათვალისწინებული თანხების ჯამი)	პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი, შემდგომში ხელშეკრულების ფასი (ლარი)
65	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 იანვრის 24:00 საათამდე.	15 058,98	1 505,89	16 564,87	

აუცილებელი პირობა:

შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 16 564,87 ლარი, რომელიც შედგება 2 კომპონენტისგან. აქედან პირველი კომპონენტით გათვალისწინებული თანხა წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2-ით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღირებულებიდან დაანგარიშებულ დაზღვევისთვის გათვალისწინებულ სადაზღვევო სავარაუდო პრემიას. ხოლო შესყიდვის სავარაუდო ფასში შემავალი მეორე კომპონენტით გათვალისწინებული თანხა წარმოადგენს ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მისი მოქმედების ვადაში შესაძლო დამატებით დასაზღვევი სატრანსპორტო საშუალებების (ასევე დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების შეცვლის შემთხვევაში დამატებითი ანგარიშსწორებისათვის საჭირო) სადაზღვევო პრემიის ოდენობას (აღნიშნული თანხით დაზღვევა განხორციელდება პირველი კომპონენტის თანხიდან პრეტენდენტის მიერ

გამოანგარიშებული სადაზღვევო პრემიის პროცენტის ოდენობის შესაბამისად). იგი არ წარმოადგენს სავალდებულოდ (დაზღვევის) შესყიდვის განხორციელების თანხას, შესაბამისად არ წარმოადგენს ელექტრონულ ტენდერზე ვაჭრობის ობიქტს, ამასთან ხელშეკრულების მოქმედების ვადაში აღნიშნული თანხის ოდენობის შესყიდვა შესაძლებელია არ იქნეს განხორციელებული, რაც არ წარმოშობს რაიმე ვალდებულებებს კონტრაჰენტებისთვის. შესაბამისად პირველი შემოთავაზებისას სადაზღვევო პრემიის პროცენტი გამოანგარიშებული უნდა იქნეს შესყიდვის სავარაუდო ფასის პირველი კომპონენტიდან. ვაჭრობის შემთხვევაში ცვლილებას განიცდის შესყიდვის სავარაუდო ღირებულების I კომპონენტი, შესაბამისად აღნიშნული თანხიდან გამოანგარიშდება სადაზღვევო პრემიის საბოლოო პროცენტი.

დანართი N3

<u>სადაზღვევო რისკები და ტარიფები</u>

N	სადაზღვევო რისკების ჩამონათვალი	ტარიფი (1 თვის)
1	• ავტოსაგზაო შემთხვევა (არ აქვს მნიშვნელობა ვისი მიზეზით მოხდება ავარია) • ქურდობა • ძარცვა • ყაჩაღობა • ორმოში ჩავარდნა (,,ჩარტყმა“) • ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზიანება ან განადგურება, რაც გამოწვეულია ხანძრით, თვითაალებით, მეხის დაცემით ან/და აფეთქებით • მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი • დაზიანება ან მთლიანი განადგურება რაც გამოწვეულია რაიმე საგნის დაცემით, მოხვედრით • სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, წყალდიდობა, დიდთოვლობა, გრიგალი, ქარიშხალი, მეწყერი, ღვარცოფი, სეტყვა) ან უბედური შემთხვევა (მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც გამოიწვია დაზიანება და განადგურება გარეშე და აშკარა მიზეზებით) • დამატებითი აღჭურვილობის, დეტალებისა და აქსესუარების (მინების, სარკეების და ა.შ.) დაზიანება-ქურდობა • ავტოსატრანსპორტო საშუალებების ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები ნაწილობრივი დაზიანებისას	0,469%
2	მე-3 პირის მიმართ მიყენებული ზიანის შემთხვევაში თითოეულ ავტოსტრანსპორტო საშუალებებზე სადაზღვევო ანაზღაურების წლიური ლიმიტი (არანაკლებ 10000 ლარი)	
3	სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სადაზღვევო ანაზღაურების წლიური ლიმიტი თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუელბებზე (არანაკლებ 10000 ლარი; განურჩევლად ადამიანების რაოდენობისა)	

შენიშვნა: სრულ განადგურებად ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენის ღირებულება აღემატება დაზღვევის მომენტისათვის სადაზღვევო თანხად განსაზღვრული ღირებულების 65% ან მეტ პროცენტს.

შენიშვნა: თუ სადაზღვეო შემთხვევაში მონაწილეობას იღებდა წინამდებარე ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში დაზღვეული ორი ან ორზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებე თვითოეული მათგანი განხილული უნდა იქნას ინდივიდუალურად და ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2-ით განსაზღვული ლიმიტების ფარგლებში და მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებები არ უნდა იქნას განხილული როგორც მესამე პირი. იმ შემთხვევაში, თუ ერთი დაზღვეულია წინამდებარე ტენდერის საფუძველზე ხოლო მეორე მანქანა არ არის დაზღვეული, თუმცა ეკუთვნის შს სამინისტროს რომელიმე სტრუქტურული ერთეულს. დაზღვეული მაქნანა განხილული იქნება როგორც ჩვეულებრივი სადაზღვეოვო შემთხვევა, ხოლო არადაზღვეული მანქან(ებ)ი როგორც მესამე პირი.

დანართი N4

<u>სადაზღვევო შემთხვევად არ ითვლება და სტანდარტულ გამონაკლისად მიიჩნევა შემთხვევა (ზარალი)</u>

1. შესაბამისი რისკი პოლისით დაზღვეული არაა:
2. შემთხვევა, რომელიც მოხდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული უფლებამოსილი მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული (ფსიქოტროპული) ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს. უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა ან ისეთი განზრახი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას;
3. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება და საგარანტიო შეკეთების ხარჯები;
4. შემთხვევა, როდესაც შემსყიდველი (დაზღვეული) დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენა–სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;
5. უშუალოდ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების საბურავებზე მიყენებული დაზიანება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანება, თავის მხრივ, შედეგად მოჰყვა დაზღვეულ რისკებს და ამავდროულად, ასეთი შემთხვევის შედეგად, გარდა საბურავებისა ავტოსატრანსპორტო საშუალებების სხვა ნაწილებიც დაზიანებულია და რომელის გამოც, შემსყიდველი (მოსარგებლე) უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ავტომანქანის ნაწილობრივი ან სრული განადგურების რისკზე;
6. ავტოსატრანსპორტო საშუალებების, როგორც ტვირთის ტრანსპორტირება (გარდა ბუქსირით), აგრეთვე მისი ჩატვირთვა ან გადმოტვირთვა;
7. მზღვეველთან შეუთანხმებლად ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენება სასწავლო, სასპორტო ან სპეციალური დანიშნულებით (სასწრაფო დახმარება, ტაქსი, გაქირავება);
8. ავტოსატრანსპორტო საშუალების გასაღების, სარეგისტრაციო ნომრის ქურდობა/დაკარგვა;
9. ნებისმიერი სარემონტო ხარჯები, რომელიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით;

10. ცვეთა, კოროზია, დაჟანგვა, თანდაყოლილი დეფექტი, დეფექტური მასალების გამოყენება;
11. შემსყიდველის ან მისი წარმომადგენლის მიერ სისხლის სამართლის კანონდებლობით გათვალისწინებული განზარახ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, როდესაც ავტომობილი გამოყენებულია სისხლის სამართლის დანაშაულის იარაღად.
12. გაჩერებული დაზღვევული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაუდგენელი პირების მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანება/განადგურების შემთვევები, თუ არ მოხდება მიმწოდებელთან და საპატრულო პოლიციასთან დაზიანების აღმოჩენისთანავე დაკავშირება;
13. შემთხვევა, თუ იგი დადგა დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული ავტომანქანის საჯარიმო გადაყვანა/გადაადგილების დროს, ასევე საჯარიმო სადგომზე განთავსებისას;

დანართი N5

<u>ზარალის (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას შემდეგი</u>
<u>ინსტრუქციების და ზარალის ანაზღაურების პირობების სქემა</u>

1. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზიანების ან/და დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მესამე პირებისათვის ზიანის მიყენებისთანავე, შესაბამისი შეტყობინების განხორციელების მიზნით დაზიანებული ავტო-სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ან დამზღვევის უფლებამოსილი სხვა პირი უკავშირდება სადაზღვევო კომპანიის 24 საათიან საინფორმაციო სამსახურს ნომერზე +995 322 505 111
2. კომპანიის საინფორმაციო სამსახურთან დაკავშირების შემდეგ შემთხვევის ადგილზე გადის ზარალების რეგულირების ექსპერტი ან მენეჯერი. თუ კი კომპანიის წარმომადგენლის გამოცხადება შემთხვევის ადგილზე გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია ან გამოცხადებისათვის საჭიროა 2 საათი ან მეტი, მაშინ დამზღვევი უფლებამოსილია არ დაელოდოს კომპანიის წარმომადგენლის გამოცხადებას და გადაიყვანოს დაზღვეული დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან, თუმცა მასზე რჩება ვალდებულება უზრუნველყოს დაზიანებული ქონების შენარჩუნება ისეთ მდგომარეობაში, რომ თავიდან აცილებულ იქნას ზიანის ოდენობის შემდგომი ზრდა.
3. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ, ხოლო შემთხვევის ადგილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში – ტელეფონის მეშვეობით, მზღვეველის ზარალების რეგულირების ექსპერტი დამზღვევს აძლევს ინფორმაციას კომპანიაში წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, რომელსაც დამზღვევი წარადგენს. ზიანის ანაზღაურებაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის დამზღვევი კომპანიას წარუდგენს შემდეგ საბუთებს:
   - ✓ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის სქემა;
   - ✓ მძღოლების ახსნა-განმარტებები;
   - ✓ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ან პატაკი;
   - ✓ მძღოლის სიმთვრალე-სიფხიზლეზე შემოწმების ოქმი;

✓ საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილების (დადგენილების) ასლი;

რომელიმე ზემოხსენებული დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის საკმარის (მაგიერ) დოკუმენტად ჩაითვლება დამზღვევის ოფიციალური წერილი, სადაც მითითებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტის წარუდგენლობის მიზეზი.

4. მე-3 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენისა და ზიანის დადგომის შესახებ განაცხადის შედგენიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში მზღვეველი აცნობებს დამზღვევს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

5. კომპანიის მიერ ზარალის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ დამზღვევისათვის ინფორმაციის მიწოდების შემდგომ დამზღვევი უფლებამოსილია დაზიანებული სატრანსპორტო საშუალება კომპანიისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე გადაიყვანოს დამზღვევის მიერ შერჩეულ სერვის-ცენტრ(ებ)ში (არაუმეტეს 5 წლის წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს საქართველოში არსებული კონკრეტული მარკის სადილერო სერვის ცენტრებში, გამონაკლის შემთხვევებში შემსყიდველთან შეტანხმებულ სერვის ცენტრებში, ხოლო დანარჩენი სატრანსპორტო საშუალებები ლიცენზირებულ სერვის ცენტრ(ებ)ში), სადაც წინასწარ შეთანხმებულ დღეს მზღვეველის წარმომადგენლის თანდასწრებით ხორციელდება ავტომანქანის ტექნიკური დათვალიერება და ხდება შესაბამისი დეფექტური აქტ(ებ)ის შედგენა დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებების ან მისი ნაწილების აღდგენისათვის ან შეცვლისათვის საჭირო თანხის და ვადის მითითებით. აღნიშნული დეფექტური აქტ(ებ)ის შედგენის შემდეგ მას (მათ) ხელს აწერენ შესაბამისი სერვის-ცენტრ(ებ)ის, დამზღვევის და კომპანიის წარმომადგენლები.

დეფექტურ აქტზე მზღვეველისა და დამზღვევის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერიდან და მისი კომპანიაში წარდგენიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში დგება სადაზღვევო შემთხვევის აქტი, ხოლო სერვის-ცენტრის მიერ შედგენილი და მხარეთა წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით დამოწმებული დეფექტური აქტის თანახმად წარდგენილი ანგარიშის (ინვოისის) საფუძველზე მზღვეველი 6 სამუშაო დღის გამნავლობაში გადაურიცხავს შესაბამის სერვის-ცენტრს ავტოტრანსპორტის აღდგენის ღირებულების შესაბამის თანხას.

*შენიშვნა: საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებაში მე-5 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები შესაძლებელია განისაზღვროს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების შესაბამისად.

6. სრულ განადგურებად ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ავტოტრანსპორტის აღდგენის ღირებულება აღემატება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულების 65% ან მეტ პროცენტს.

აღნიშნული ფაქტის დადგომისას, ზიანის ანაზღაურება განხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით: თუკი სერვის-ცენტრის მიერ შედგენილ და მხარეთა წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით დამოწმებულ დეფექტურ აქტში დაფიქსირებული თანხა აღემატება სატრანსპორტო საშუალების დაზღვევის მომენტისთვის სადაზღვევო თანხად განსაზღვრული ღირებულების 65%-ს ავტომატურად ფიქსირდება სრული განადგურების შემთხვევა, რის საფუძველზეც დამზღვევი უნდა დაკმაყოფილდეს სხვა (მსგავსი) სატრანსპორტო საშუალებით შემდეგი პირობების შესაბამისად: დეფექტური აქტის კომპანიაში წარმოდგენიდან 6 სამუშაო დღის განმავლობაში დგება სადაზღვევო შემთხვევის აქტი და მომდევნო 10 სამუშაო დღის განმავლობაში მზღვევლი დამზღვევთან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე (თანხმდება როგორც მიმწოდებელი კომპანია, ასევე მისაწოდებელი სატრანსპორტო საშუალების ზუსტი მოდელი და მოწოდების

კონკრეტული ვადები, ავტოსატრანსპორტო საშუალების მოწოდების ვადები არ უნდა აღემატებოდეს 120 კალენდარულ დღეს. აღნიშნული ვადების დარღვევის შემთხვევაში დამზღვევის წინაშე პასუხისმგებელია მზღვეველი, ხოლო სამხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად მზღვევლის წინაშე პასუხისმგებელია მიმწოდებელი) გაუფორმებს მიმწოდებელ კომპანიას სამმხრივ ხელშეკრულებას, სადაც ამნაზღაურებლად დაფიქსირდება მზღვეველი, ხოლო მიმღებად დამზღვევი, ამასთან სატრანსპორტო საშუალებისთვის განსაზღვრულ თანხას მზღვეველი გადარიცხავს მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების შესაბამისად. ავტომობილის სრული განადგურების შემთხვევაში დამზღვევის სატრანსპორტო საშუალებით დაკმაყოფილება უნდა მოხდეს კონკრეტული დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულების შესაბამისად.

7. პოლისით განსაზღვრული ლიმიტის აღდგენა სრული განადგურების შემთხვევაში (ტოტალი) - გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მიმართ გაცემული სადაზღვევო ანაზღაურებების ჯერადობის მიუხედავად, შემდგომში სრული განადგურების დადგომის შემთხვევაში, პოლისის გათვალისწინებული ანაზღაურების ლიმიტი დაექვემდებარება ავტომატური აღდგენას მის საწყის ოდენობამდე, რაც გულისხმობს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების სრული განადგურების (ტოტალის) დადგომის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს თანხა (დანართი N2-ის მე-7 სვეტში მითითებული ღირებულება) მიუხედავად იმისა, წლის განმავლობაში მოცემულ ავტტოსატრანსპორტო საშუალებაზე დამდგარი იყო თუ არა სადაზღვეო შემთხვევა და ანაზღაურდა თუ არა თანხები. შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო პრემიის ოდენობა უნდა მოიცავდეს აღნიშნული სადაზღვევო მომსახურების ღირებულებას.

8. უფლებამოსილი მძღოლი: შს სამინისტროს ნებისმიერი სტრუქტურული ქვედანაყოფის შესაბამისი მართვის უფლების მქონე თანამშრომელი. გარდა ამისა იმ სადაზღვევო ობიექტებზე, რომელთაც დამზღვევი ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი მართვის უფლების მინიჭებისათვის პრაქტიკული გამოცდის მიღებას, უფლებამოსილ მძღოლად აგრეთვე ჩაითვლება გამოსაცდელი ფიზიკური პირი, რომელსაც აღნიშნულ ობიექტზე (საგამოცდო სატრანსპორტო საშუალება) აბარებს პრაქტიკულ გამოცდას.

დანართი N6

<u>დაზღვეული ავტომანქანების (ა/მ-ის პარკის) შეცვლის შემთხვევაში</u>
<u>სადაზღვევო პრემიის გადანაწილების პირობები</u>

დაზღვეული ავტომანქანების (პარკის) შეცვლის შემთხვევაში დამზღვევის მომართვის საფუძველზე გაუქმდება შესაბამისი პოლისით განსაზღვრული ავტოტრანსპორტის მიმართ დაზღვევის პირობები და არსებული პოლისებითა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული დაზღვევა გავრცელდება შეცვლილ და/ან ახალ სატრანსპორტო საშუალებებზე შესაბამისად დარჩენილ სადაზღვევო პერიოდზე, გაუქმებული პოლისებით განსაზღვრული `გამოუმუშავებული პრემია~ ჩაითვლება შეცვლილი/ახალი სატრანსპორტო საშუალების პრემიაში. მზღვეველი ვალდებულია დამზღვევის მოთხოვნის (რომელიც უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით) შემთხვევაში ყოველგვარი წინაპირობის გარეშე შეუწყვიტოს დაზღვევა (ავტომანქანების რაოდენობა განისაზღვროს

ურთიერთშეთანხმებით და დაფიქსირებულ იქნას ხელშეკრულების პირობებში) ყოველ მოთხოვნილ კონკრეტულ ავტომანქანას, ხოლო აღნიშნული მანქანისთვის განსაზღვრული პრემია აღარ იქნება დამზღვევის მიერ გადახდილი (დაზღვევის გაუქმების მომენტიდან), ასევე დამზღვევი უფლებამოსილია შეუზღუდავად მოახდინოს ახალი ავტომანქანის დაზღვევა სატანდერო პირობების შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დადგენილი წესით.

შემსყიდველი :	მიმწოდებელი
შსს-ს სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ.#83ა; საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ს/კ - 205316497. .	სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“, მის: კოსტავას ქუჩა N67 საბანკო რეკვიზიტები: სს,,თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგ. ანგარიში: GE13TB1100000005700652 ს/კ: 204426674
სააგენტოს დირექტორი	რისკების მართვისა და ანდერაიტინგის დირექტორი:
ზვიად ქაწაშვილი	ირაკლი დვალი